დანართი #1.

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა განმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

28.06.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

შინაარსი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. 3

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა..... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან. 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა. 16

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....23.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა **25**

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები. ..... 33.

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი სსიპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	231187168
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რემიგიუს ქინდერის, Klaipėdos valstybinė kolegija/ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ლიეტუვა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვალერი არღუთაშვილი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი არქანია, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ტურიზმი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Tourism
უმაღლესი განათლების საფეხური	საფეხური I (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ტურიზმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

[2] თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, გადაწყვეტილება №316 18.11.2011
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[3]მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ავტონომიური სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. აქ სწავლების ენა მშობლიური ქართულია. უნივერსიტეტში განათლების მიღება შესაძლებელია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების განახლებული პროგრამებით. დაწესებულება ასევე მოიცავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სივრცეში ტურიზმის მიმართულება, 2011 წელს დაიწყო და ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ძალიან სწრაფად, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, იგი გახდა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მთავარი ნაწილი.
2011 წლის 18 ნოემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (No 316), ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. „ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 4 (ოთხ) წელს, კრედიტების რაოდენობა - 240. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სასწავლო სფეროების კლასიფიკატორთან (1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება) თავსებადობის მიზნით, კვალიფიკაცია განისაზღვრა როგორც - 1015.1.1 ტურიზმი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16-17 მაისს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენებზე), პროგრამის აღწერის დოკუმენტი, რომელსაც თანდართული ჰქონდა პროგრამის ყველა კომპონენტის დეტალური სილაბუსი (ქართულ ენაზე) და დოკუმენტები საუნივერსიტეტო მომსახურებების შესახებ, CV-ები და დოკუმენტები აკადემიური პერსონალის შესახებ და სხვ (ქართულ ენაზე).
ვიზიტის დროს, პანელს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდა და გასაუბრებოდა ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალს, აკადემიურ პერსონალს (როგორც აფილირებულს, ისე მოწვეულებს), საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელებს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე, სოციალურ პარტნიორებს. შეხვედრების ყველა მონაწილე მზად იყო ეთანამშრომლა და ღიად და გულახდილად მიეღო მონაწილეობა დისკუსიებში. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მიწოდების თაობაზე პროფესიონალურად და ეფექტიანად დაკმაყოფილდა ვიზიტის განმავლობაში.
ექსპერტთა ჯგუფს სურს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველა მონაწილეს თანამშრომლობისა და ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

პროგრამა აკმაყოფილებს სხვადასხვა ქართულ, ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს და შეესაბამება ყველა რეგულაციას და სტანდარტს, რაც დადასტურდა ობიექტების დათვალიერებით, დოკუმენტებით, ინტერვიუებით ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტთან და დაინტერესებულ მხარეებთან, გარდა სტანდარტისა „საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან“, რომელიც მეტწილად შეესაბამება ამ სტანდარტის მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

ექსპერტთა პანელი იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს გაუმჯობესებისთვის და ისინი ქვემოთ არის წარმოდგენილი:

- რეკომენდებულია, დაიხვეწოს პროგრამის მიზანი, გახდეს უფრო უნიკალური და კონკრეტული.
- სწავლის შედეგები უნდა განიხილებოდეს ტურისტული ბიზნესის უახლესი მიგნებების, ტექნოლოგიების, სამეცნიერო მიღწევების და ქვეყნის რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, გაიზარდოს საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და დაწესდეს მისი მომზადებისთვის უფრო მაღალი მოთხოვნები: სტრუქტურა, ციტირება და ა.შ.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს კომპანიაში სტაჟირების კრედიტების რაოდენობა და შესაძლოა რამდენიმე სემესტრში გახდეს სამოტივაციო ინსტრუმენტი სტუდენტებისთვის, რათა უფრო სწრაფად გაეცნონ თავიანთ მომავალ პროფესიას და კარიერულ შესაძლებლობებს.
- სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ისწავლონ სასტუმროს, რესტორნის, მოგზაურობის დაგეგმვის ან ავიაბილეთის დაჯავშნის პროგრამები (პროგრამულ უზრუნველყოფასთან პრაქტიკული მუშაობის გზით);
- ყურადღება უნდა მიექცეს საბაკალავრო ნაშრომების, როგორც სამეცნიერო წერითი სამუშაოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების უზრუნველყოფას (ციტირება, ზომა, მეთოდოლოგიის მართებულობა და ა.შ.). უნდა გაიზარდოს კომუნიკაცია და კოორდინაცია სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. ხელმძღვანელებმა უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ სტუდენტებს აკადემიური წერის ნორმების შესახებ.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

ექსპერტთა პანელი იძლევა რამდენიმე რჩევას გაუმჯობესებისთვის:

- სასურველია უნივერსიტეტმა მოამზადოს მკაფიო კომუნიკაციისა და მარკეტინგის სტრატეგია, რომლითაც მოცემული სასწავლო პროგრამის შესახებ მეტი ინფორმაცია მიეწოდება პოტენციურ სტუდენტებს, რადგან სტუდენტების რაოდენობა კრიტიკულად დაბალია;
- სასურველია უნივერსიტეტმა გადახედოს და განაახლოს საგნების შინაარსი ტურისტული ბიზნესისა და მეცნიერების სიახლეების შესაბამისად;

- სასურველია გაიზარდოს სტუდენტების მოტივაცია მათი ჩართვით საერთაშორისო პროგრამებსა და პროექტებში და მათ მიეცეთ იქ მოქმედების საშუალება;
- სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს უფრო კონკრეტული საბიუჯეტო პარამეტრები და მეტი იმუშაოს ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტების მოსაზიდად.
- სასურველია რისკის შეფასების და რისკის მართვის ინსტრუმენტის უფრო საფუძვლიანად დანერგვა PDCA სისტემის ფარგლებში და პროგრამის თანამშრომლებს შორის მისი გაზიარება, რათა შეიქმნას უწყვეტი გაუმჯობესების მოხერხებული ციკლი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

  - **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**
    ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია და დასკვნა დატოვა ხელუხლებლად.

  - **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შფასება და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამა არის ტურიზმის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა. პროგრამას აქვს 3 სტრატეგიული მიზანი, რომლებიც წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშში (გვ.7) და ეს მიზნები ზედმეტად აბსტრაქტულად არის ფორმულირებული და, სწავლის სფეროს თავისებურებებიდან გამომდინარე, სრულად არ ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს.

სასწავლო პროგრამა შეესაბამება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების (სტრატეგიული მიზნები) მისიას, ხედვას და ძირითად სფეროებს (http://tesau.edu.ge/files/uploads/4/9/Strategic_Development_Plan_2018-). 20251.pdf): „…უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად…“, „…სტუდენტური სწავლების, სტუდენტური ცხოვრების, დასაქმებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა…“.

ტურიზმის პროგრამის განვითარების მიზნით, დამყარდა თანამშრომლობა დარგის პრაქტიკოსებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან და განხორციელდა საერთაშორისო პროექტები. ამან კიდევ უფრო გაზარდა სასწავლო გეგმის თეორიული და პრაქტიკული ნაწილების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების შანსი.

დამსაქმებლებთან შეხვედრისას დადასტურდა, რომ ეს პროგრამა აუცილებელია რეგიონის განვითარებისთვის და მასში ტურიზმის განვითარებისთვისაც. დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს და ამართლებს პროგრამის წვლილის მნიშვნელობას სფეროსა და საზოგადოებაში.

პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომი (http://tesau.edu.ge/files/1/2/%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98.pdf) და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმის ბაკალავრო პროგრამა
- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია, მიზნები, სტრატეგია www.tesau.edu.ge ;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაიხვეწოს პროგრამის მიზანი, გახდეს უფრო უნიკალური და კონკრეტული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.1 პროგრამის მიზნები	☐	x	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და/ ან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგები მკაფიო, ნათელი და ტურიზმის პროგრამის მიზნების მიღწევის შესაბამისია. ისინი მიღწევადი და რეალისტურია და შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო სპეციფიკური და ფოკუსირებული უნდა იყოს მეცნიერებისა და პრაქტიკის სიახლეებზე. პროგრამა თავსებადია შესაბამისი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერის მიერ განსაზღვრულ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონესთან.

თვითშეფასების ანგარიშში წერია, რომ: „პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება განხორციელდა თანამშრომლობით, რომლის პროცესში ჩართული იყვნენ: აკადემიური/ მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, და შედეგებს პერიოდულად აწვდიდნენ/ აცნობდნენ დაინტერესებულ პირებს" (თვითშეფასების ანგარიში გვ.8.). აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს დროს, რომლებმაც ასევე აღნიშნეს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დასაქმების მოთხოვნებს და სასწავლო სფეროსა და შრომის ბაზრის თავისებურებებს. თუმცა, იმავე შეხვედრებზე აღინიშნა, რომ სასწავლო პროგრამამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ინგლისური ენის ცოდნის უზრუნველყოფას და სტაჟირების ხანგრძლივობის გაზრდას, როგორც პრაქტიკული

კომპეტენციების გაძლიერების და სწავლის შედეგების კონსოლიდაციის და ტურისტული სფეროს უახლესი მიგნებების, ტექნოლოგიების, სამეცნიერო მიღწევების (ეს უკანასკნელი დაკვირვება აშკარაა სილაბუსებისა და თეზისების გაანალიზებისას) ასახვას.

გარდა ამისა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ტურიზმის სასწავლო პროგრამის შედეგები მათთვის ნათელია/ იყო ნათელი და შეძენილი კომპეტენციები მათ კარიერულ წინსვლაში ეხმარება.

პროგრამას ჩამოყალიბებული აქვს სწავლის შედეგების რუქა, რომელიც აღწერს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევას პროგრამის კომპონენტების საშუალებით. სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები მოიცავს პირველად ან/და მეორად შრომის ბაზრის კვლევას და კონსულტაციებს ლექტორებთან, მსგავსი პროგრამების შედარებით ანალიზს, საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებასა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას. სწავლის შედეგების მიღწევა მოიცავს სავალდებულო მოდულების ფარგლებში სტუდენტების კურსების შემდგომი შედეგების ანალიზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგები უნდა განიხილებოდეს ტურისტული ბიზნესის უახლესი მიგნებების, ტექნოლოგიების, სამეცნიერო მიღწევების და ქვეყნის რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	x	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (თვითშეფასების ანგარიში გვ.9). პროგრამას ჩამოყალიბებული აქვს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევას პროგრამის კომპონენტების საშუალებით. სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები მოიცავს პირველად ან/და მეორად შრომის ბაზრის კვლევას და კონსულტაციებს ლექტორებთან, მსგავსი პროგრამების შედარებით ანალიზს, საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებასა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას. სწავლის შედეგების მიღწევა მოიცავს სავალდებულო მოდულების ფარგლებში სტუდენტების კურსების შემდგომი შედეგების ანალიზს.

ეს დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (QA) პერსონალთან შეხვედრების დროს. ასევე დავრწმუნდით, რომ სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ დარგის მახასიათებლებისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით, პროგრამას აქვს გაიდლაინები თითოეული სასწავლო შედეგისთვის.

აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ სწავლისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ დარგისა და აკადემიური პერსონალის მახასიათებლების სპეციფიკური პერიოდულობით, და პროგრამის პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

უსდ-ის წარმომადგენლები დაინტერესებულ მხარეებს აცნობენ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს მათთან ყოველწლიურ შეხვედრებზე.

ინტერვიუზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად ფაკულტეტზე განხილვის შემდეგ.

პროგრამას ჩამოყალიბებული აქვს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევას პროგრამის კომპონენტების საშუალებით. სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები მოიცავს პირველად ან / და მეორად შრომის ბაზრის კვლევას და კონსულტაციებს ლექტორებთან, მსგავსი პროგრამების შედარებით ანალიზს, საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებასა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას. სწავლის შედეგების მიღწევა მოიცავს სავალდებულო მოდულების ფარგლებში სტუდენტების კურსების შემდგომი შედეგების ანალიზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კურიკულუმის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	x	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანთლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სასწავლო ციკლს. ტურიზმის პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და ECTS - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისად (თვითშეფასების ანგარიში, გვ.10-11). უნივერსიტეტის რეგულაციები შემუშავებულია პროგრამის შეფასებისა და უწყვეტი განვითარების მიზნით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. უნივერსიტეტში ხარისხის შეფასება პროგრამის შემუშავებაში ეფუძნება კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, შრომის ბაზრის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვებს და მსგავსი პროგრამების შედარებით ანალიზს, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის შიდა შეფასებას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას, თუმცა, პროგრამა არ არის უნიკალური ან ინოვაციური, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის არ ასახავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პროგრესს ტურიზმის სფეროში. ექსპერტების აზრით, პროგრამა არ ითვალისწინებს კვლევის ახალ შედეგებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს.

ინტერნაციონალიზაციის განზომილება ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამაში, განსაკუთრებით ტურიზმის სფეროში. ინტერნაციონალიზაციის ასპექტები უფრო მკაფიოდ უნდა ჩანდეს კურსების აღწერილობაში და საბაკალავრო ნაშრომებშიც. პრაქტიკული კომპონენტი უაღრესად

მნიშვნელოვანია „ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამისთვის. შესაბამისად, რიგ კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული ან/ და სემინარის საათები, რაც სტუდენტს ეხმარება დარგობრივი კომპეტენციებისა და უნარების გამომუშავებაში, მაგრამ არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც სტაჟირება. 6 ECTS კრედიტი არ არის საკმარისი ტურიზმის პროგრამის სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გასავითარებლად, სასწავლო გეგმაში ამას გაცილებით მეტი დრო უნდა დაეთმოს და ეს შეხვედრაზე სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და სოციალურმა პარტნიორებმაც აღნიშნეს. პროგრამის სტუდენტებმა საბოლოო ნაშრომში უნდა აჩვენონ სწავლის პრაქტიკულად ყველა შედეგი, მაგრამ ამისთვის ძალიან ცოტა ECTS კრედიტებია გამოყოფილი.

ექსპერტებმა, რომლებიც იცნობენ საბაკალავრო ნაშრომებს, შენიშნეს მათი დაბალი სამეცნიერო დონე და შეამჩნიეს, რომ აკლია კვლევის უფრო ძლიერი მეთოდოლოგია და კვლევის პრაქტიკული ნაწილის განვითარება.

პროგრამის შემუშავება არის თანამშრომლობითი პროცესი, სადაც ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე: სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ყველა მათგანმა ექსპერტებთან ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით იღებენ მოწვევებს გამოკითხვებში, შეხვედრებსა და დისკუსიებში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ყოველთვის არ მონაწილეობენ მათში.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. ეს ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე, მაგრამ ეს არ არის საკმარისი სასწავლო პროგრამაში მეტი სტუდენტის მოსაზიდად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- ვებგვერდი;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გაიზარდოს საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და დაწესდეს მისი მომზადებისთვის უფრო მაღალი მოთხოვნები: სტრუქტურა, ციტირება და ა.შ.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს კომპანიაში სტაჟირების კრედიტების რაოდენობა და შესაძლოა რამდენიმე სემესტრში გახდეს სამოტივაციო ინსტრუმენტი სტუდენტებისთვის, რათა უფრო სწრაფად გაეცნონ თავიანთ მომავალ პროფესიას და კარიერულ შესაძლებლობებს.

რჩევები პროგრამის განსავითარებლად:

- სასურველია უნივერსიტეტმა მოამზადოს მკაფიო კომუნიკაციისა და მარკეტინგის სტრატეგია, რომლითაც მოცემული სასწავლო პროგრამის შესახებ მეტი ინფორმაცია მიეწოდება პოტენციურ სტუდენტებს, რადგან სტუდენტების რაოდენობა კრიტიკულად დაბალია;

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	x	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- ➢
- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეული კურსისათვის შემუშავებულია დეტალური საგნის აღმწერი (სილაბუსი). თითოეული დესკრიპტორი მოიცავს შემდეგს: კურსის მიზნებს, დაგეგმილ სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულ სწავლების მეთოდებს, კვირეული შინაარსის დეტალურ აღწერას, შესაბამის ლიტერატურას, ინდივიდუალურ მუშაობას, შეფასების მეთოდებს თითოეული კომპონენტისათვის, ისევე, როგორც შეფასების ქულასთან სტუდენტის აკადემიური მოსწრების დაკავშირების მკაფიო კრიტერიუმებს (რუბრიკები), ასევე რეკომენდებულ ლიტერატურას.

შეიძლება ითქვას, რომ აკადემიური საგნების შინაარსი და მოცულობა ცალკე და ერთად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული მითითებული საგანზე გამოყოფილია 5 ECTS ლექციებისა და სემინარების შესაბამისი საათების რაოდენობით. საგნები რაციონალურად არის განაწილებული სემესტრებს შორის, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიური საგნები მოიცავს მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროს, მაგრამ შეიძლება უფრო ასახავდეს გლობალური ტურისტული ბაზრის ტენდენციებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, განსაკუთრებით სტუმართმოყვარეობის სექტორს, მაგალითად, GIS- ის გამოყენება რეკრეაციული ზონების ანალიზში, ტურიზმის ლოგისტიკური პროცესების მართვა ციფრული ხელსაწყოების გამოყენებით, რობოტიკა სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში და სხვა. ადგილზე ვიზიტის შემდეგ შეიძლება განვაცხადოთ, რომ სასწავლო მასალები განახლებულია და უზრუნველყოფს ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია უნივერსიტეტმა გადახედოს და განაახლოს გარკვეული საგნების შინაარსი ტურისტული ბიზნესისა და მეცნიერების სიახლეების შესაბამისად.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	x	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება- სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას და პროგრამაში მისაღები წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, განათლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას. არსებული საგანმანათლებლო პროგრამების მისაღები მოთხოვნები გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

უსდ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების შეუფერხებლად წარმართვას. პროგრამაზე სტუდენტების მიღება ხდება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ვებგვერდი;
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	x	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შემუშავდა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების წესების მიხედვით. პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ECTS სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი საბაკალავრო საფეხურის შესაბამისია.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. პროგრამის კომპონენტები ლოგიკურად სტრუქტურირებულია, ხოლო წინაპირობები თანმიმდევრულია კურსის შინაარსთან. პროგრამას აქვს სათანადო რაოდენობის არჩევითი კურსები. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი (საგნებში) ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესაბამება განათლების საფეხურს. პრაქტიკის კომპონენტისა და მოსწრების პროექტის ფარგლებში სტუდენტს ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის აქტივობას - ეს დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს. თუმცა, თავად პროგრამის შინაარსი უნდა გადაიხედოს, შემოვიდეს უახლესი სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევები და ორიენტირებული იყოს ტურისტული სექტორის თავისებურებებზე და საჭიროებებზე. სასწავლო პროგრამის შინაარსში ძალიან მცირე ყურადღება ეთმობა სტაჟირებას და მუშაობას სასტუმროსთან, რესტორნების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას, მოგზაურობის დაგეგმვისა და ადმინისტრირების პროგრამულ უზრუნველყოფას, ავიაბილეთების დაჯავშნის სისტემებს და ა.შ.

დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების დროს პანელი დარწმუნდა, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავებაში, მათ სთხოვდნენ გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები გამოკითხვების საშუალებით და შეხვედრების დროს.

დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები და მათი დანართები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის მიზნებს, შედეგებს და ხანგრძლივობას და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევას. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლები მზად არიან მიიღონ მეტი სტუდენტი სტაჟირების უფრო ხანგრძლივი ვადით.
სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და სოციალურ პარტნიორებთან ინტერვიუს დროს ექსპერტები გაეცნენ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის განხორციელების კარგ პრაქტიკას - საპროექტო აქტივობებს (კვლევითი ასპექტებით) და ინტერნაციონალიზაციას (მობილობა). პროგრამის სტუდენტები, პედაგოგები და სოციალური პარტნიორები ჩართულნი არიან უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ კვლევით, მობილობის პროექტებში და ძალიან კმაყოფილნი არიან ამით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრების შედეგები;
- მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

- სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ისწავლონ სასტუმროს, რესტორნის, მოგზაურობის დაგეგმვის ან ავიაბილეთის დაჯავშნის პროგრამები (პროგრამულ უზრუნველყოფასთან პრაქტიკული მუშაობის გზით);

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი / შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	x	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები;

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საერთო ჯამში, სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლის მეთოდები შესაბამისია. შერჩეული სწავლის მეთოდები აერთიანებს როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე მეთოდებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების აქტივობასა და თვითგამოხატვას (თვითშეფასების ანგარიში, გვ.15-1 და სილაბუსი). პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მკაფიოდაა მითითებული თითოეული კომპონენტის შესაბამის სილაბუსში. მეთოდები არჩეულია დონის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. თვითშეფასების ანგარიშის და სტუდენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციისა და კურსის სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები შემდეგია: ლექცია, სემინარი, წერილობითი სამუშაო, დისკუსია/დებატები, ერთობლივი მუშაობა, გონებრივი იერიში, ელ. სწავლა და სხვა.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების განსაზღვრულ დონეს, კურსების შინაარსს. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია დარგის დამახასიათებელ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სასწავლო პროგრამაში განაწილებული კონკრეტული კურსების განხორციელების პროცესში გამოიყენება სწავლა-სწავლების შესაბამისი მეთოდები სწავლის შედეგების მისაღწევად, როგორიცაა დისკუსია/დებატები; გუნდური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; შემთხვევის შესწავლა; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაშები; ინდუქცია; დედუქცია; ანალიზი; სინთეზი; სიტყვიერი ან ზეპირი; წერილობითი სამუშაო; განმარტება; მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ კურსებში ლოგიკურად არის შერჩეული სწავლა-სწავლების მეთოდები. იგი შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს და უზრუნველყოფს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კურსების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და სწავლის შედეგების რუკა, რაც საშუალებას იძლევა სისტემატურად შეფასდეს კონკრეტულ სასწავლო კურსებში გამოყენებული მეთოდები და აქტივობები.

ზემოთ ჩამოთვლილი სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და მიმართულია სტუდენტის სხვადასხვა უნარების განვითარებაზე, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება მუდმივად მონაწილეობს სხვადასხვა საგრანტო პროექტებში სწავლა-სწავლების მეთოდების/ფორმების და კვლევის კომპონენტის გაუმჯობესების მიზნით და ასევე სთავაზობს ტრენინგებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- ვიზიტი უმაღლეს სასწავლებელში, გასაუბრება ადმინისტრაციასთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	x	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს სისტემა, რომელიც აფასებს სტუდენტების აკადემიური მოსწრებას და ადარებს ამ მონაცემებს სტუდენტის სარეიტინგო სკალასთან, რომელიც შემუშავებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) მიერ. ბაკალავრიატის სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. იგი ემყარება შეძენილი ცოდნის მუდმივი შეფასების პრინციპს. პროგრამის სასწავლო კომპონენტის გათვალისწინებით, სტუდენტები ფასდებიან სემესტრის განმავლობაში მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს, რამდენიმე შუალედური დავალების და მათი საბოლოო შეფასების ქულების მიხედვით. ნიშნების განაწილება სხვადასხვა დავალებებზე დამოკიდებულია კურსის ხასიათზე, მაგრამ ყველა შემთხვევაში, მკაფიო რუბრიკა მოცემულია კურსის სილაბუსში.

თითოეული სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა კრედიტი; შუალედური და საბოლოო შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსით.

შეფასების სტრუქტურა, საგნის/სასწავლო კურსის ფარგლებში, დაყოფილია ორ კომპონენტად - შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა, თითოეული კონკრეტული შეფასება ეფუძნება ორივე კომპონენტის ჯამურ შედეგებს. შეფასების ზოგად კრიტერიუმებს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი სტრუქტურა.

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები შეიძლება მოიცავდეს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: ზეპირი გამოცდა, წერითი გამოცდა,

ზეპირი გამოკითხვა, წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, თეორიული სამუშაო, პრაქტიკული სამუშაო, ინდივიდუალური პრეზენტაცია, ჯგუფური პრეზენტაცია და ა.შ.

სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ კომპონენტში სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი საშუალებები: პრეზენტაცია, დავალების შესრულება, მონაწილეობა დისკუსიაში/დებატებში, გუნდური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.

თითოეული აკადემიური კურსისთვის მაქსიმალურ შეფასებად განისაზღვრება 100 ქულა. კურსში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი 51 ქულაა. სტუდენტების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მხოლოდ მათი წარმატება ფინალურ გამოცდაზე, არამედ მთელი კურსის განმავლობაში ნაჩვენები შედეგები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასების სისტემა არის კანონმდებლობის შესაბამისი.

სტუდენტთა შეფასება ტარდება დადგენილი პროცედურების დაცვით; ის არის სამართლიანი ყველა სტუდენტისთვის, გამჭვირვალე, სანდო და მორგებულია თითოეულ კურსზე და ახსნილია შესაბამისი კურსის სილაბუსებში. საბაკალავრო ნაშრომი სრულდება ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს თემა თავისი სურვილის მიხედვით ტურიზმის სფეროს ფარგლებში. საბაკალავრო ნაშრომი დაცვამდე შემოწმდება პლაგიატზე (Turnitin).

სტუდენტებთან ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ შეფასების კრიტერიუმები მათთვის გამჭვირვალე და გასაგებია. ამ კრიტერიუმებს სტუდენტებს აცნობენ და უხსნიან თითოეული კურსის პირველივე სასწავლო კვირაში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ ქულები, გამოთქვან საკუთარი აზრი კონკრეტულ საგანთან, სილაბუსთან დაკავშირებით ან დააფიქსირონ ნებისმიერი სხვა იდეა. პედაგოგები უზრუნველყოფენ სტუდენტებთან უკუკავშირს თითოეული დავალების შემდეგ. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, ასევე საკუთარი ძლიერი მხარეების გაუმჯობესებაზე და გასაუმჯობესებელ სფეროებზე. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილი სტუდენტისთვის.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ექსპერტებთან შეხვედრისას დადებითად დაახასიათეს მასწავლებლებთან თანამშრომლობა, აღნიშნეს მათი ხელშეწყობა და კეთილგანწყობა. დავალებების ან მათი შეფასების არაეფექტურობის შემთხვევაში, სტუდენტს ყოველთვის შეუძლია მიმართოს მასწავლებელს განმარტებისა და დახმარებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც გაანალიზა საბაკალავრო ნაშრომები აღნიშნავს, რომ შეფასების პროცესში ზღვრულ კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს აკადემიური წიგნიერების წესების დაცვა. უნდა გაუმჯობესდეს სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის თანამშრომლობის ხარისხი. ხელმძღვანელმა უფრო ეფექტურად უნდა მიაწოდოს სტუდენტს ინფორმაცია საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებლად საჭირო ნორმების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- ყურადღება უნდა მიექცეს საბაკალავრო ნაშრომების, როგორც სამეცნიერო წერითი სამუშაოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების უზრუნველყოფას (ციტირება, ზომა, მეთოდოლოგიის მართებულობა და ა.შ.). უნდა გაიზარდოს კომუნიკაცია და კოორდინაცია სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. ხელმძღვანელებმა უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ სტუდენტებს აკადემიური წერის ნორმების შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება:	☐	x	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

4 სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტაციის ისეთი საშუალებები, როგორიცაა:

1) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და პროგრამაში ჩართული პირების მიერ სტუდენტებისთვის კონსულტაციების სისტემატური გაწევა;

2) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები აწვდიან სტუდენტებს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების წინაპირობების, კრედიტების დაგროვების და სხვა დეტალების შესახებ;

3) ფაკულტეტის დამხმარე პერსონალი აკონტროლებს სტუდენტების პირად საქმეებს და საჭიროების შემთხვევაში აწვდის სტუდენტებს შესაბამის ინფორმაციას;

4) სასწავლო კურსის სილაბუსები ითვალისწინებს დამატებით დროს ლექტორის მიერ სტუდენტური კონსულტაციისთვის;
5) სტუდენტთა კარიერის ზრდისა და განვითარების სერვისი ეხმარება სტუდენტებს ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა: პოტენციური დამსაქმებლების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა; დამსაქმებლებთან ურთიერთობის კოორდინაცია და მათთან რეგულარული კონტაქტების დამყარება ინფორმაციის გაცვლის მიზნით; სტუდენტების მონაცემების გაგზავნა კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირების ან სხვა დასაქმების შესაძლებლობების მოძიება; შრომის ბაზრის დინამიკის რეგულარული ანალიზი და არსებული ვაკანსიების მონიტორინგი; დამსაქმებლებთან ურთიერთობაში სტუდენტების დახმარება და ხელშეწყობა; დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების მოწყობა; სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევა მათი კარიერის, პიროვნული და აკადემიური განვითარების ხელშეწყობისთვის. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტების და კურსდამთავრებულების დიდი რაოდენობა დასაქმებულია, უმაღლეს სასწავლებელს მჭიდრო კონტაქტი აქვს დამსაქმებლებთან და ეფექტურად ეხმარება სტუდენტებს დასაქმების კუთხით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრების მსვლელობამ ნათლად აჩვენა, რომ ზოგიერთი დამსაქმებელი არ იცნობს პროგრამას და არ მიუღია ეფექტიანად მონაწილეობა მის შემუშავებაში.
6) სტუდენტები იღებენ ინფორმაციას ისეთი საშუალებებით, როგორიცაა: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდი ((www.tesau.edu.ge), ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი (ფეისბუქი) და სატელეფონო კომუნიკაცია).
უმაღლესი სასწავლებლის პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან შესაძლებლობებს საერთაშორისო პროექტებში/პროგრამებში მონაწილეობის კუთხით. სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (სამეცნიერო ფორუმები, კონფერენციები, სემინარები და ა.შ.). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო პროექტებში/პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მასშტაბები უნდა გაიზარდოს და ამის პოტენციალი უმაღლეს სასწავლებელს აქვს. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გადადგას ზომები, რათა უფრო მეტმა სტუდენტმა ისარგებლოს ამ შესაძლებლობით. უპირველეს ყოვლისა, უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა წაახალისოს უცხო ენების სწავლების პროცესი. ასევე, სასურველი იქნება, თუ დამატებით წახალისდება სტუდენტების მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში სხვადასხვა ჯილდოებით. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის სტუდენტთა მოტივაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის დანართები
- ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია გაიზარდოს სტუდენტების მოტივაცია მათი ჩართვით საერთაშორისო პროგრამებსა და პროექტებში და მათ მიეცეთ იქ მოქმედების საშუალება;

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	**x**	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება მიმოხილვა და ანალიზი

არ ეხება

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმის

მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 25 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის 15 აფილირებული აკადემიური და 10 მოწვეული პერსონალი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში შემუშავებულია და ფუნქციონირებს „კადრების თანაფარდობისა და სტუდენტების ზღვრული კვოტის დადგენის მეთოდოლოგია“ და „პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის წესი.

დაწესებულებაში პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება კონკურსის წესით. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორებისა და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმების, ასევე დაწესებულების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად აღვნიშნავთ, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები მასში არიან ჩართულნი უსდ-ის კანონმდებლობისა და შინაგანაწესის შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულებას. საკონსულტაციო საათების რაოდენობა ასევე განისაზღვრება სასწავლო პროგრამის სილაბუსებით. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატურია; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ექსპერტთა

ჯგუფს სურს უსდ–მა ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა დატვირთვას და გადაადგილების სირთულეებს, რაც რამდენიმე უნივერსიტეტთან თანამშრომლობას ახლავს თან. მომავალში ამან შეიძლება გამოიწვიოს სირთულეები სასწავლო პროცესის ორგანიზებაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლის შედეგად: საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემებისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამების ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო პროფესიული ცოდნა, გამოცდილება, შესაძლებლობები და კომპეტენცია. ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, მის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებასა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. დაწესებულებაში ვიზიტისას გაირკვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მხარდაჭერით ხორციელდება. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათზე დაკისრებულ უფლებებსა და მოვალეობებს და შესასრულებელ ფუნქციებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	25			
პროფესორი:		5	5	5
ასოცირებული პროფესორი		10	10	10
გ) ასისტენტ-პროფესორი:				
ასისტენტი:				
მოწვეული პერსონალი	10	2	8	-
სამეცნიერო პერსონალი				-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტი უმაღლეს სასწავლებელში და გასაუბრება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;
- CV, დიპლომები და აკადემიური, მოწვეული პერსონალის შრომების ჩამონათვალი;
- ტურიზმი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- პროგრამის ხელმძღვანელის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

რეკომენდაციები:

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსები	**x**	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და კვლევის შედეგების გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა შიდა შეფასების მექანიზმი - „მეცნიერული პროდუქტიულობის შეფასების სისტემა“, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შესწავლას ერთი სრული კალენდარული წლის საქმიანობის მიხედვით. სისტემა მოიცავს ხუთ კატეგორიას:

1. კვლევით პუბლიკაციები:
2. მონაწილეობა სამეცნიერო ფორუმებში;
3. მონაწილეობა სამეცნიერო პროექტებში
4. სტუდენტების ჩართულობით ჩატარებული სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა;
5. სხვა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა:

როგორც გასაუბრებებიდან გაირკვა, შეფასების შემაჯამებელ შედეგებს და უკუკავშირს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად უგზავნის. მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის საქმიანობის შეფასების შედეგად დაწესებულება

ხშირად სთავაზობს სხვადასხვა სასწავლო კურსს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ასევე, პერსონალს აქვს შესაძლებლობა, უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით გამოაქვეყნოს სტატიები ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში; მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, პროფესიული კვალიფიკაციის გადამზადებაში. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება აქტიურად უჭერს მხარს აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი და საგრანტო პროექტების მოპოვებაში/დაფინანსებასა და განხორციელებაში.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მათი შეფასების მექანიზმები და მეთოდები მათთვის წინასწარ ცნობილია და ცალსახად დადებითად აფასებენ აღნიშნულ პროცესს, ისინი აქტიურად მონაწილეობენ და ხელს უწყობენ პროცესის მართვას. ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტების აქტიური ჩართულობა ლექტორების შეფასების და სასწავლო კურსების პროცესში, რაც მათთან გასაუბრებისას გამოიკვეთა.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებლების თანამშრომლობას უცხოურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან. აღსანიშნავია აღნიშნული სამსახურის ნაყოფიერი მუშაობა, რაც გამოიხატება დაწესებულების აქტიურ ჩართულობაში საერთაშორისო გრანტებსა და პროექტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტი უმაღლეს სასწავლებელში, გასაუბრება ადმინისტრაციასთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების პასუხის ანგარიშები;
- CV, დიპლომები და აკადემიური, მოწვეული პერსონალის შრომების ჩამონათვალი.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3. აკადემიური,	**x**	☐	☐	☐

სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება				

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე დართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უმაღლეს სასწავლებლებში აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით. უნივერსიტეტში არის კომპიუტერული კლასები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებით. დაწესებულების ბიბლიოთეკას გააჩნია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები. ბიბლიოთეკაში ვიზიტისას შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა. აღსანიშნავია ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მაღალი კვალიფიკაცია და სტუდენტებისთვის ადაპტირებული სასწავლო ლიტერატურის ელექტრონული წყაროები.

მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ელექტრონული ლიტერატურის საძიებო სისტემა EIFL, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, თავისუფლად არის ხელმისაწვდომი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის ნებისმიერი მომხმარებლისთვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სტუდენტებს ეცნობებათ არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მათი გამოყენების პროცედურების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტი უმაღლეს სასწავლებელში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. გასაუბრება ადმინისტრაციასთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;
- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (http://tesau.edu.ge/biblioteka);
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4. მატერიალური რესურსები	**x**	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს მის მდგრადობას. წარმოდგენილი ბიუჯეტი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის განვითარება/ტრენინგს, ასევე სტუდენტების განვითარება/ტრენინგს, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, კვლევების, კონფერენციების დაფინანსებას და სტატიების გამოცემას, სასწავლო მასალის და ბიბლიოთეკის განვითარებას.

პროგრამისთვის დაწესებულების ბიუჯეტი 100 სტუდენტზეა გათვლილი, თუმცა აქტიური სტუდენტების რაოდენობა ჯამში 42-ია. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით: უნივერსიტეტში „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ცენტრალიზებულად (უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით); უნივერსიტეტის ბიუჯეტთან ინტეგრირებული პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ სტაბილურობასა და მდგრადობას და აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულებას. სასურველია, დაწესებულებას ჰქონდეს უფრო კონკრეტული ბიუჯეტის პარამეტრები და მეტი სამუშაო ჩაატაროს სტუდენტების მოსაზიდად ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში.

პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავებას და მისი ხარისხიანად განხორციელების ხელშეწყობას. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის

ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტი უმაღლეს სასწავლებელში, გასაუბრება ადმინისტრაციასთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;
- პროგრამის ბიუჯეტი;

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს უფრო კონკრეტული საბიუჯეტო პარამეტრები და მეტი იმუშაოს ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტების მოსაზიდად.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	x	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვისას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისას და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ–სხარისხის უზრუნველყოფის შიდა განყოფილებ(ებ)თან/პერსონალთან. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს სისტემურ გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის, მომსხურებებისა და რესურსების შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს სემესტრულ და ყოველწლიურ გამოკითხვებზე; ეფექტური მონიტორინგის შენარჩუნებისა და განვითარების ტენდენციების გამოსავლენად, შეფასების შედეგების გაანალიზების მიზნით, ჩართული ჰყავს ყველა დაინტერესებული მხარე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და ადგილზე სააკრედიტაციო ვიზიტისას გამოვლენილი მიგნებების მიხედვით, პროგრამის შეფასება თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA)პრინციპზე. პროგრამის შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის პერსონალის ინკლუზიურობას, რომელიც თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან და იზიარებს პრინციპებსა და მექანიზმებს პროგრამის სათანადო შიდა ხარისხის შეფასების უზრუნველსაყოფად.

სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი არიან ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის ჩართულობას, რათა უზრუნველყოს შეფასების კონსტრუქციული პროცესი; შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიში მზადდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობით. თვითშეფასების

პროცესმა და სამუშაო ჯგუფს შორის შესაბამისი დავალებების განაწილებამ უზრუნველყო სისუსტეების და მომავალი განვითარების შესაბამისი შესაძლებლობების იდენტიფიცირება, თუმცა,უფრო ადვილად მიღწევადი იქნებოდა, თუ რისკზე დაფუძნებული აზროვნება და რისკის მართვის ინსტრუმენტი უკეთესად იქნებოდა დანერგილი PDCA სისტემაში და გაზიარებული პროგრამის თანამშრომლებს შორის, უწყვეტი გაუმჯობესების მორალური და კანონიერი ციკლის შესაქმნელად.

ხარისხის შიდა შეფასების პროცესში გამოიყენება საჭიროებასა და აუცილებლობაზე დაფუძნებული შეფასების გამოკითხვები, რათა მიზანმიმართულად გამოვლინდეს პრობლემები და უზრუნველყოფილი იყოს ჩარევა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ეს გამოკითხვები მიზნად ისახავს სტუდენტების საჭიროებებისა და სურვილების იდენტიფიცირებას, ასევე ზოგადად კმაყოფილების შეფასებას პროგრამის ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია რისკის შეფასების და რისკის მართვის ინსტრუმენტის უფრო საფუძვლიანად დანერგვა PDCA სისტემის ფარგლებში და პროგრამის თანამშრომლებს შორის მისი გაზიარება, რათა შეიქმნას უწყვეტი გაუმჯობესების მოხერხებული ციკლი.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	**X**	☐	☐	☐

5.2 გარე ხარისხის უზრუნველყოფა

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის გარე უზრუნველყოფა ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების მეშვეობით, რომელსაც აწარმოებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. უნივერსიტეტი განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს, მიგნებებს კი წარუდგენს ფაკულტეტებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან.
საგანმანათლებლო პროგრამა პერიოდულად ფასდებოდა გარე ექსპერტების მიერ. ტურიზმის პროგრამა მომზადდა ადგილობრივი ექსპერტების გამოცდილებისა და პოზიციების აქტიური გათვალისწინებით, რითაც უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის შესაბამისობა დარგობრივ მახასიათებლებთან. დავით აღმაშენებლისა და ევროპის უნივერსიტეტის პროფესორებმა, მცირე რეკომენდაციების მიუხედავად, დადებითად შეაფასეს პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, სწავლების მეთოდოლოგია და ადამიანური რესურსები და ხაზი გაუსვეს მის პერსპექტივებსა და მნიშვნელობას რეგიონში კვალიფიციური პროფესიონალების მომზადებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- გარე ექსპერტების შეფასების ანგარიშები;
- სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ექსპერტების შეფასებები;	**X**	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის შემუშავებისა და სერვისის გაუმჯობესებისთვის, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური უზრუნველყოფს მუდმივ მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე სუბიექტებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვების განხორციელების მთავარ საშუალებას. მონიტორინგის პროცესი ეფუძნება გამჭვირვალობისა და გაზიარების, მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს, სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით. თუ სტუდენტთა პასუხების რაოდენობა დაბალია წარმომადგენლობითი შედეგების მისაღებად, მაშინ ფოკუს ჯგუფები გამოიყენება ვალიდობის უზრუნველსაყოფად. საჭიროებებზე დაფუძნებული შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გაუმჯობესებული მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის. ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ამოწმებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიკაციისა და გაუმჯობესების მიზნით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის სამიზნე ნიშნულების მიღწევას. პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა შეაფასა ორი უნივერსიტეტის მსგავსი პროგრამა საქართველოში - ევროპის უნივერსიტეტი და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, ასევე საერთაშორისო ინსტიტუტები - ვარნის მენეჯმენტის უნივერსიტეტი, ვროცლავის უნივერსიტეტი, უილიამ ანგლისის ინსტიტუტი. დაფიქსირდა მრავალი საერთო კურსი და მახასიათებელი, რომლებმაც გავლენა მოახდინა პროგრამის შემუშავების პროცესზე და აერთიანებს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ პრაქტიკას და მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- გარე ექსპერტების შეფასების ანგარიშები;
- სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი; ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	x	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ტურიზმი, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	x	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	☐	x	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x	☐	☐	☐
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	x	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	x	☐	☐	☐

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა პანელის თავმჯდომარე

რემიგიუს კინდერისი ხელმოწერა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თამთა ცხოვრებაძე ხელმოწერა

ვალერი არღუთაშვილი ხელმოწერა

გიორგი არქანია ხელმოწერა